

ლალი გობისვანიძე,
თამაზ ბაჭურაძე

გერმანული ღარგობრივი (ეკონომიკის) ენის გავრცობილი განსაზღვრების თარგმნითი შესატყვისები ქართულ ენაში

ნაციონალურ და ინტერნაციონალურ არეალში მრავალი სამუშაო სფეროს გაძლიერებული სპეციალიზაციის და განვითარების გამო ინფორმაციის მოწოდების მნიშვნელოვან ფუნქციას დარგობრივი ენების თარგმანი იღებს თავის თავზე. დარგობრივი ენების თარგმანს ვერც ინდუსტრიულ და სამეცნიერო სფეროებში მუშაობისას აევლება გვერდი. ეს პროცესი დაკავშირებულია ყველა იმ ქვეყნის ენის შესწავლასთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წინსვლაში ან მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტად არის ქცეული. ამ თვალსაზრისით გერმანულ დარგობრივ ენებს შორის ყველაზე მეტი მოთხოვნილება არის თარგმანზე მედიცინის, ტექნიკის, ეკონომიკის და სამართლის დარგებში. მისი დახვეწა კი საჭიროებს მთელი რიგი ლინგვისტური საკითხების შეპირისპირებას, რათა განზოგადდეს ეფექტურად მიჩნეული საშუალებები.

ჩვენი განხილვის საგანია გერმანული ეკონომიკის ქვეყანაში ფუნქციონირებადი გავრცობილი განსაზღვრებების ქართულ ენაზე თარგმანის საშუალებების აღწერა.

აღნიშნულ დარგობრივ ენაში საკმაოდ ხშირად გავრცობილი განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს ზედსართავი სახელი და აგრეთვე Part.I და Part.II.

რა თქმა უნდა, ზედსართავი განსაზღვრების თარგმანი ენობრივი თვალსაზრისით რაიმე სირთულეს არ წარმოადგენს. ერთადერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი არის ის, რომ ზედსართავი სახელი იხმარება უმეტეს შემთხვევაში უფროსობით ან აღმატებით ხარისხში, რასაც მთარგმნელებმა უნდა მიაქციონ ყურადღება. ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის დროს ახალბედა მთარგმნელებმა დაუშვეს შეცდომები სწორედ ამ პუნქტში. მოვიყვანოთ გამართული თარგმანის მაგალითებს:

In diesem Jahr sollen leistungsfähigere und dabei zugleich leichtere tragbare Personalcomputer entwickelt **წერდნენ**.

წელს უნდა შეიქმნას უფრო ძძლავრი და, ამასთანავე, ბევრად მსუბუქი პორტატიული პერსონალური კომპიუტერი.

Die meisten französischen Wirtschaftsforschungsinstitute schätzen für 2005 ein Wachstum zwischen 1.4% und 2% ein.

ფრანგული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების უმეტესობა ვარაუდობს 2005 წლისათვის ეკონომიკურ ზრდას 1,4-დან 2%-მდე.

ამ შემთხვევაში მოხდა აღმატებით ხარისხში მდგომი ზედსართავი სახელის "შეისტენ"-ის გადათარგმნა ქართულად არსებითი სახელით "უმეტესობა", რაც თარგმანში დასაშვებ ხერხად მიიჩნევა.

უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვს Part. I-ის და Part. II-ის ქართულ ენაში დასაშვები თარგმნითი შესატყვისები.

გერმანული ენის Part I, რომელიც არის მოქმედებითი გვარის და აღნიშნავს

მოქმედი პირის ნიშან-თვისებას, ქართულ ენაზე ითარგმნება მოქმედებითი გვარის მიმღობით:

Der nach eigenen Angaben weltweit führende Hersteller "TavianTi maCveneblebiT msolfioSi wamyvani mewarme"; die Matall Verarbeitende Industrie "liTonis damamuSavebeli warmoeba/industria".

აგრეთვე ვნებითი გვარის მიმღობით:

Die bei der Firma eingehende Anrufe "firmaSi Semosuli zarebi", die eventuell existierende bürokratische Hürden „გარკვეულ შემთხვევაში ამოქმედებული ბიუროკრატიული ბარიერები“.

ხოლო ნაწილი მათი ითარგმნება ზედსართავ სახელში გადასული მიმღობით: die in den Staaten der Europäischen Union geltenden Standarts "evropuli kavSiris qveynebisaTvis moqmedi standartebi"; die qualitatits hoch stehenden Wettbewerber „მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტები“.

რადგან ქართულ ენაში აწმყოს მიმღობა ყველა ზმნისაგან არ იწარმოება, Part. I-ის შემცველი გავრცობილი განსაზღვრება ითარგმნება განსაზღვრებითი ქვეწყობილი წინადადებით: der um Hilfe bittende Gläubiger - კრედიტორი, რომელიც დახმარებას ითხოვს; für einen intensiv reklamirenden Käufer - მყიდველისათვის, რომელიც ინტენსიურად არის ორიენტირებული რეკლამაზე.

Part. II-ის თარგმნისას უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ის განსაზღვრულ არსებით სახელთან, რაც დაკავშირებულია ამოსავალი ზმნის გარდამავლობაზე ან გარდაუვალობაზე.

თუ ზმნა გარდაუვალია, მისგან ნაწარმოებ Part. II-ს აქტიური მნიშვნელობა აქვს და იგი უკავშირდება არსებით სახელს, რომელიც მოქმედ პირს აღნიშნავს. ის ითარგმნება როგორც მოქმედებითი გვარის მიმღობა ან ზედსართავი სახელი.

Die dynamisch entwickelte Industrie "dinamiurad ganviTarebuli industria" (მ. გვენცაძე, 2000); ein hart umkämpfter Markt "xistad mebrZoli bázari" (G. Helbig, J. busha, 2001); der gestern angekommene Geschäftsschef "გუშინ ჩამოსული სავაჭრო განყოფილების შეფი" (DuDen, 1998); ein fast ununterbrochener Wachstumkurs "თითქმის უწყვეტი ზრდის კურსი" (ნ. წულაია, ქ. ლაცაბიძე, 2004).

თუ ზმნა გარდამავალია, მისგან ნაწარმოები Part. II-ს პასიური მნიშვნელობის არის და იგი უკავშირდება არსებით სახელს, რომელიც აღნიშნავს მოქმედების საგანს ან პირს. ისინი ქართულ ენაზე წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღობით ითარგმნება:

Die neu umformten Großbanken "axlebrivad gardaqmnil msxvili bankebi"; die voraus gezahlte Bezugszeitraum "წინდაწინ გადახდილი (ანაზღაურებული) საბაზისო პერიოდი“.

სწორედ თავიანთი „პასიურობის“ გამო არსებითი სახელის ჭგუფში კონკრეტდება ისიც, ვინც უშუალოდ ასრულებს მოქმედებას და ხდება განსაზღვრების გავრცობა von წინდებულიანი კონსტრუქციით. ამ შემთხვევაში თარგმანს ერთვის სიტყვა „მიერ“.

Der von der Analysten geschätzte Gewinn "ანალიტიკოსების მიერ შეფასებული მოგება"; die von Ihrer Firma angebotenen Produkte "თქვენი ფირმის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია“.

Part. II-ის გავრცობა ხდება აგრეთვე დროის, ადგილის, ვითარების და ა.შ. დაკონკრეტებით. მათ პრეპოზიციული მდგომარეობა უკავიათ, რაც შენარჩუნებულია ქართულ ენაზე თარგმნისას:

Die vor 3 Jahren gelieferten Modelle "sami wlis win miwodebuli modelebi"; das auf der Messe vorgestellte Warensortiment "ბაზრობაზე წარმოდგენილი საქონლის ასორტიმენტი".

როგორც ვხედავთ, მოცემული Part. II ქართულ ენაზე ითარგმნება წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობებით.

გავრცობილი განსაზღვრების ფუნქციას ხანდახან ასრულებს მიმღეობა ჩართული კომპოზიტები და მათი დამაკონკრეტებელი სიტყვები:

Die computergeschützten Systeme "kompiuterulad daculi sistema"; das Beteiligungsgeschäft mit börsennotierten, bundesweit bekannten Unternehmen "საქმიანი თანამონაწილეობა ბირჟაზე გავლენიან, ფედერაციაში ცნობილ წარმოებასთან".

როგორც ვხედავთ, მათი ითარგმნისას ხდება კომპოზიტების კომპონენტების დაშლა და მიმღეობები ითარგმნება შესაბამისი ქართული მიმღეობებით.

შემდგომი გავრცობილი განსაზღვრების სტრუქტურას წარმოადგენს გენეტიკური კონსტრუქციები, რომლებიც ხშირად ფუნქციონირებენ ეკონომიკის დარგობრივ ენაში. მათი ითარგმანი, როგორც ამას მაგალითები ადასტურებს, ხდება უკუქცევითი განლაგებით: პირველ რიგში ითარგმნება გენეტიკური განსაზღვრებითი კონსტრუქცია და შემდეგ - საზღვრული სიტყვა. რაც შეეხება ბრუნვის მნიშვნელობას, ითარგმნაში ის სრული შესაბამისობით გადმოიცემა მიცემითი ბრუნვით: der Marktanteil der französischen Automobil - Gesellschaft "franguli avtomewarmeTa sazogadoebis sabazro wili"; der Käufer einer fehlerfreien Ware "უწყუნო საქონლის მომხმარებელი".

ეკონომიკის ენაში კიდევ ერთ გავრცელებულ განსაზღვრებით სტრუქტურას წარმოადგენს გენეტიკური კონსტრუქციის სინონიმური von წინდებულიანი პოსტპოზიციური განსაზღვრება, რომელიც ქართულ ენაზე გადმოიცემა პრეპოზიციური მდგომი მსაზღვრელის მიცემითი ბრუნვით: die Bildung von regionalen Handelsblöcker "regionuli savaWto blokebis Seqmna"; die Transformation von einer zentral gesteuerten Planwirtschaft "centridan marTuli gegmiuri meurneobis/ekonomikis gardaqmna"; die Kombination von niedrigen Arbeitskosten "მუშახელის დაბალი ღირებულების კომბინაცია".

წინდებულიანი გავრცობილი განსაზღვრების აღწერისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ეკონომიკის ენაში უფრო ხშირად წარმოდგენილია für, zu, auf-წინდებულიანი განსაზღვრებებით.

როგორც მომდევნო ითარგმანი გვიჩვენებს, für წინდებულიანი პოსტპოზიციური განსაზღვრება ქართულ ენაზე ითარგმნება საზღვრული სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, -თვის ბოლოსართის საშუალებით: die Zahlen für die ersten drei Monaten "პირველი სამი თვის მონაცემები"; der Grund für den Verkauf (der Artien) "(აქციების) გაყიდვის მიზეზი"; der Grund für das Vertauen (unserer Kunden) "(ჩვენი კლიენტების) ნდობის საფუძველი"; der Gesetztext für die meisten Verbraucher "საკანონმდებლო ტექსტი მრავალი მომხმარებელისათვის".

რაც შეეხება მსაზღვრელისა და საზღვრულის განლაგებას, ის, როგორც ვხედავთ, 4-დან 3 შემთხვევაში არის უკუქცევითი და ერთ შემთხვევაში შენარჩუნებულია გერმანული კონსტრუქციის წევრთა განლაგება.

სხვა წინდებულიანი განსაზღვრებების ითარგმანი ქართულ ენაზე ქმნის შემდეგ სურათს:

Zu: der räumliche Nähe zur heimischen Markt "ტერიტორიული სიახლოვე

სამამულო ბაზართან“; die Rückkehr zur früheren hohen Rentabilität “მიბრუნება აღრინდელი მაღალი შემოსავლიანობისაკენ“; die richtige Information zum gewünschten Zeitpunkt “სწორი ინფორმაცია სასურველი, დადგენილი დროისათვის“; Teleportation zum Aufbau eines weltweiten abhörsicheren Kommunikationsnetzes “ტელეპორტაცია მსოფლიოში გავრცელებული მოსმენისაგან დაცული საკომუნიკაციო ქსელის შესაქმნელად“; das Gesetz zur Regelung der Geschäftsbedingungen “ბიზნეს-პირობების დამარეგულირებელი კანონი“.

Auf; der Erfolg auf dem Wachsenden Binnenmarkt “წარმატება მზარდ საშინაო ბაზარზე“; die Programme auf dem eigenen Büro-PC “საკუთარ პერსონალურ კომპიუტერში ბიუროში არსებული/შეტანილი პროგრამები“; die Recht auf eine kostenlose Nachbesserung “უფასო შეკეთების უფლება“.

an: ein niedriger Kurs an der japanische Börse “შედარებით უფრო დაბალი კურსი იაპონურ ბირჟაზე“; ein Fehler an einer gekauften Ware “გაყიდული საქონლის წუნი“.

Mit: alle Mitarbeiter mit direktem Kundenkontakt “კლიენტებთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა თანამშრომელი“.

In: Unterschiede in der Höhe (des Lebensstandarts) “განსხვავება ცხოვრების დონეებს შორის“.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ zu- წინდებულებიანი განსაზღვრებები ითარგმნება საზღვრულ სიტყვასთან -თან, -თვის, -კენ, -ად ბოლოსართების გამოყენებით. ამასთანავე, ნარჩუნდება გერმანული კონსტრუქციის წევრთა განლაგება. Auf- წინდებულებიანი განსაზღვრება გვაძლევს თარგმანში -ში და -ზე ბოლოსართიან საზღვრულ სიტყვას ან მიცემით ბრუნვაში მდგომ მსაზღვრულს. დასაშვებია როგორც პოსტპოზიციური, აგრეთვე პრეპოზიციური თარგმანი.

ნაკლები სიხშირით გვხვდება ეკონომიკის ენაში an-, mit-, in- წინდებულებიანი განსაზღვრებები და მათი თარგმანი შინაარსობრივად განპირობებულია, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ für-, auf-, zu- წინდებულებიან მაგალითებში, წინდებულების მნიშვნელობით. სათანადოდ ისინი ქართულ ენაზე ითარგმნებიან -თან, -ზე ბოლოსართების საშუალებით. იმ შემთხვევაში, როდესაც წინდებულის მნიშვნელობა “იკარგება“, თარგმანში შემოდის მიცემით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი.

არცთუ იშვიათად საზღვრულის გავრცობა ხდება Gen+Gen; Gen+von, von+Gen-იანი განსაზღვრებებით. ნაკლებად გვხვდება სხვა წინდებულებიანი (Gen+mit, Gen+in, Gen+zu) განსაზღვრებითი კონსტრუქციები. მოვიყვანოთ მაგალითები: die Position der Verstände deutscher Unternehmen “გერმანელ მეწარმეთა წარმომადგენლების პოზიცია“; ein konkurenzprodukt der etablierten Chips von Intel “(ფირმა) Intel-ის მიერ გამოშვებული ჩიპი, რომელიც არის კონკურენტუნარიანი პროდუქტი“; die breite Palette von Business Jets der weltweit führenden Hersteller „მსოფლიოში რეაქტიული თვითმფრინავების წამყვან მწარმოებელთა ბიზნესის სპექტრი“; der Verkaufsstart der ersten Notebooks mit der neuen Technologie „[პირველი], ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი ნოუთბუკის სასტარტო გაყიდვა“; der Zahl der deutschen Mitarbeiter im nächsten Ausland „გერმანელ თანამშრომელთა რიცხვი უახლოეს საზღვარგარეთში“; die Möglichkeit neuer Technologien zur Entwicklung weiterer Softwares „ახალი ტექნოლოგიების

შესაძლებლობები პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის“; der Bedarf an Maschinen für die Modernisierung von Fabriken „მოთხოვნილება მანქანებზე, რომლებიც განკუთვნილია ფაბრიკების მოდერნიზაციისათვის“.

როგორც ვხედავთ, მათი თარგმნისას შედარებით მსაზღვრელის შესატყვისების განლაგების და ბრუნვაში ჩასმის ძირითადი მოდელები, ისევე როგორც ხდება განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების გამოყენება. მთავარია მთარგმნელი დაუკვირდეს, შინაარსობრივად როგორ განლაგდებიან მსაზღვრელები და საზღვრულები.

გერმანული ეკონომიკის ენაში არცთუ იშვიათია ინფინიტიური zu წინდებულიანი კონსტრუქციების ჩართვა გავრცობილი განსაზღვრების სტრუქტურაში: Investoren haben jedoch Chancen, die Verluste ersetzt zu bekommen „ინვესტორებს კვლავაც აქვთ შანსი, დანაკარგი ჩანაცვლებით აინაზღაურონ“; Seit 7 Jahren verfolgt die Deutsche Bank die Politik, ihre Beteiligung zu reduzieren „შვიდი წელია ატარებს გერმანული ბანკი თავისი წილობრივი მონაწილეობის შემცირების პოლიტიკას“.

როგორც ვხედავთ, გავრცობილი განსაზღვრების ფუნქციით გამოყენებული Inf.+zu კონსტრუქციები უმეტეს შემთხვევაში ითარგმნება უქვემდებარო წინადადებით, რომელიც თარგმანში ინარჩუნებს პოსტპოზიციას. თუმცა დასაშვებია აღნიშნული კონსტრუქციის თარგმანი Gen.+gen. კომბინაციის გამოყენებით.

ზემოთ განხილული იყო გავრცობილი განსაზღვრებები, რომლებიც ერთოდნენ საზღვრულს როგორც პოსტპოზიციამში, ისე პრეპოზიციამში.

განვიხილოთ უფრო რთული შემთხვევები, როდესაც საზღვრულს ერთდროულად გააჩნია როგორც პოსტ-, აგრეთვე პრეპოზიციული მსაზღვრელები. ყველა ეს შემთხვევა შეიძლება დაყვანილი იყოს ძირითად სქემამდე:

Adje/Part. I / Part II

Gen/für/von/zu/in+Substantiv

A₁ → Partititpialkonstruktion

B

← A₂ Gen.+gen./gen.+in/für+von/Gen.+von+für

მათი ქართული შესატყვისების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი მთარგმნელობითი მოდელები:

I

გერმ.

A₁ > B > A₂

in angebliches Fehlverhalten des Management

ქართ.

A₂ > A₁ > B

მენეჯმენტის თითქოსდა მცდარი ქმედება

II

გერმ.

A₁ > B < A₂

die auf der Mark ausgerichtete Konzeption der Wirkungsvollen Unternehmenführung

ქართ.

A₁ > A₂ > B

ბაზარზე ორიენტირებული წარმოების ეფექტური მართვის კონცეპტი

III		
გერმ.	$A_1 > B < A_2$	die schon sicher geglaubte Zustimmung zur Übernahmerrichtlinie
ქართ.	$A_1 > B > \text{Relativsatz}$	უკვე საბოლოოდ შეთანხმებული გადაბარების პრინციპები
IV		
გერმ.	$A_1 > B < A_2$	ein strategischer Wendepunkt im globalen Geschäftsleben
ქართ.	$A_1 > A_2 > B$	სტრატეგიული გარდატეხა გლობალური წარმოების სფეროში.

ყველაზე გავრცელებულ თარგმნის მოდელს მიეკუთვნება I და II მოდელები, ნაკლებად გვხვდება III მოდელი, ცალკეულ შემთხვევებში ნარჩუნდება მორფოლოგიური შესატყვისობა და წევრთა განლაგების თანმიმდევრობა (IV მოდელი).

ლიტერატურა

მ. გვენცაძე, 2000 — მ. გვენცაძე, გერმანული ენის სასწავლო გრამატიკა, თბ., 2000.

ნ. წულაია, ქ. ლაცაბიძე, 2004 - ნ. წულაია, ქ. ლაცაბიძე, გერმანულ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი, თბ., 2004.

G. Helbig, J. Buscha, Deutsche Grammatik, Berlin, 2001.

Duden, Die Grammatik der deutschen Gegenwartssprache, Mannheim, 1998.

Markt, Deutsch für den Beruf, Materialien aus der Presse, 2006, N15, 16, 17, 18, 19.

Deutschland, Forum für Politik, Kultur und Wirtschaft, 2005, N5, 6, 7, 8, 9.

LALI GOGISVANIDZE, TAMTA BAKURADZE**ÄQUIVALENTEN DER ERWEITERTEN ATTRIBUTEN VON
DEUTSCHEN WIRTSCHAFTSSPRACHE IN DER
GEORGISCHEN SPRACHE**

Im Artikel sind die erweiterten Attribute der deutschen Sprache beschrieben und ihre Übersetzungsanaloge in der georgischen Sprache gegeben. Betrachtet werden erweiterte Attribute in Vorderstellung, die durch Adjektiv, Partizip I und Partizip II als auch durch Partizipialkonstruktionen ausgedrückt sind, präsentiert werden auch substantivisches Attribut im Genitiv und substantivisches Attribut im Präpositionalkasus in Nachstellung.

Im Artikel werden die mehrgliedrigen Attribute erörtert, die solchen lineal erweiterten Kettentypen bilden, wie Gen.+Gen.; Gen.+von; Von+gen.; Gen.+von+für; für+von.; Gen.+in. Es wird auch zu+Infinitivkonstruktion in Nachstellung in der Funktion des erweiterten Attributs behandelt. Bemerkenswert sind die kompletten erweiterten Attribute, wenn ein substantivisches Bezugswort zwei oder mehrere erweiterten Attribute in Vorderstellung und in Nachstellung einnimmt (A1âB BA2). Auf diesem linguistischen Grund, vermittels der Kontrastivkomponente- und Strukturanalyse werden Übersetzungsanaloge der deutschen erweiterten Attribute in der georgischen Sprache aufgestellt: es sind berücksichtigt wie das morphologische Äquivalenz, als auch die Umstellung in der Kette "Bezugswort - Erweiterterglieder". Zum Schluss sind 4 Übersetzungsmodelle von kompletten erweiterten Attribute in der Zielsprache gegeben.